ნინი ელკანიშვილი

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

,,გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში გატარებული 1 სემესტრი იქცა ჩემი ცხოვრების საუკეთესო შესაძლებლობად, რომელიც დამეხმარა პიროვნულ და კარიერულ განვითარებაში. ერთის მხრივ, ეს იყო ახალი კულტურის აღმოჩენის პერიოდი, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი თავის განსხვავებული კუთხით აღმოჩენის შესაძლებლობა.

საფრანგეთში ცხოვრებამ, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობა მასწავლა. ამას თან ახლდა ახალ კულტურაში,განსხვავებულ ადამიანებთან და სოციუმთან ადაპტირების უნარის გამომუშავებაც. უნივერსიტეტში გატარებული დრო დამეხმარა სულ სხვა კუთხით დამენახა საკუთარი პროფესია. საინტერესო და ყოვლისმომცველ ლექციები მეგობრულ გარემოში სტუდენტურ ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდიდა. გარდა არაჩვეულებრივი სასწავლო სისტემისა და მეგობრული გარემოსი, ამ დროის განმავლობაში მქონდა შესაძლებლობა, მემოგზაურა და დამეთვალიერებინა კულტურულად და ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილები. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ახალ გარემოში ადაპტირება და სოციუმთან კომუნიკაცია დამეხმარა შემესწავლა ფრანგული ენა და ახლა უკვე პრაქტიკაში გამეუმჯობესებინა ინგლისურის ცოდნის დონე.

ერთ-ერთი მთავარი, რაც ლილში გატარებულმა 1 სემესტრმა წარუშლელ მოგონებად დამიტოვა, იყო ახალი ადამიანები, ადგილობრივი ფრანგი და აგრეთვე უცხოელი სტუდენტები, რომლებთან ერთად ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი გავატარე. სწორედ ურთიერთობებმა, სტუდენტზე მორგებულმა საინტერესო გარემომ და მუდმივმა სიახლეებმა გაამარტივა სამშობლოდან შორს ყოფნის ნოსტალგია და მასწავლა მთავარი- დამოუკიდებლად ცხოვრება, რაც როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის დამსახურებაა.’’